ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია (შემდგომში – ,,ინსტრუქცია“) განსაზღვრავს ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წერითი შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების (შემდგომში - ,,გამოცდების”) ორგანიზებულად ჩატარების წესებს.
2. ინსტრუქცია ადგენს უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების, გადავადების, საგამოცდო ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

მუხლი 2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. უნივერსიტეტში, სწავლების სამივე საფეხურზე, გამოცდების ორგანიზებას ახორციელებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი (შემდგომში – ,,საგამოცდო ცენტრი“) წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული წესების შესაბამისად;
2. იმ გამოცდების ორგანიზებას, რომელთა ჩატარებაც ობიექტური მიზეზების (შესაბამისი რესურსების არქონის შემთხვევაში) გათვალისწინებით, ვერ ხერხდება საგამოცდო ცენტრის მიერ, უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეული.
3. იმ გამოცდის ორგანიზებას, რომელიც ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეული.
4. სწავლების სამივე საფეხურზე შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ ჩასატარებელი შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი გამოცდების (ზეპირი, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით) ორგანიზება ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად.

მუხლი 3. გამოცდების განრიგი

1. გამოცდების განრიგის ფორმირებას, შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულთან კონსულტაციების შედეგად, უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი.
2. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია გამოაქვეყნოს შუალედური გამოცდების განრიგი აკადემიური რეგისტრაციის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, დასკვნითი გამოცდების განრიგი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა, ხოლო დამატებითი გამოცდების განრიგი საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა. გამოცდების განრიგის ფორმირების დროს, საგამოცდო ცენტრი ვალდებულია კონსულტაციები გაიაროს შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულთან, ლექტორთან და გაითვალისწინოს მათი დასაბუთებული შენიშვნები/მითითებები.
3. მედიცინის ფაკულტეტზე შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ტარდება მთელი სემესტრის განმავლობაში საგნების კურაციული სწავლების დასრულებისთანავე.

მუხლი 4. საგამოცდო საკითხების/ბილეთების წარმოდგენა

1. ლექტორი ვალდებულია საგამოცდო ცენტრში საგამოცდო საკითხები ან ბილეთები წარმოადგინოს შუალედური გამოცდებისთვის ცხრილის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში, ხოლო დასკვნითი გამოცდებისთვის საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს სამი კვირისა.
2. საგამოცდო ცენტრში წარმოდგენილი საკითხები/ბილეთები, სრულად უნდა მოიცავდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას.
3. ბილეთის ფორმას, საკითხების ოდენობას და შეფასების კრიტერიუმებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით განსაზღვრავს ლექტორი.

4. საგამოცდო საკითხებს/ბილეთებს თან უნდა ახლდეს ლექტორის მიერ შევსებული დანართი №3–ით დამტკიცებული ფორმულარი.
5. საგამოცდო ცენტრში საგამოცდო საკითხების ან/და კომბინირებული ბილეთის შესადგენად საჭირო მასალის წარმოდგენის შემთხვევაში (საგამოცდო კაზუსები, ამოცანები, განტოლებები ან სხვა მსგავსი ტიპის დავალებები), ლექტორი ვალდებულია დაურთოს ბილეთის ფორმირების ინსტრუქცია.

მუხლი 5. საგამოცდო ნაშრომის გასწორება

1. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია გამოცდის ჩატარებიდან მომდევნო სამუშაო დღის 12 საათამდე მიაწოდოს საგამოცდო ნაშრომები შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის უფლებამოსილ თანამშრომელს.
2. შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეული თავის მხრივ ვალდებულია გამოყოს ერთი უფლებამოსილი პირი, რომელიც ვალდებულია:
   ა) ჩაიბაროს საგამოცდო ნაშრომები და მოახდინოს მათი აღრიცხვა ჟურნალში;
   ბ) მიაწოდოს აკადემიურ პერსონალს საგამოცდო ნაშრომები და გასწორების შემდეგ ჩაიბაროს ისინი;
   გ) გადასცეს შეფასებული ნაშრომები საგამოცდო ცენტრს.
3. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
   ა) გამოცდის ჩატარებიდან მომდევნო სამუშაო დღის 12 საათის შემდეგ ფაკულტეტის უფლებამოსილი პირისგან ჩაიბაროს საგამოცდო ნაშრომები შესაფასებლად.
   ბ) შეაფასოს ნაშრომები მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და არაუგვიანეს მეექვსე დღის 12 საათისა წარადგინოს ფაკულტეტის უფლებამოსილ პირთან.
4. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია შეფასებული ნაშრომები ჩაიბაროს ფაკულტეტის უფლებამოსილი პირისგან და ნაშრომების მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში გამოცდის შედეგებს აფიქსირებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

მუხლი 6. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს (ელექტრონული ბაზის საშუალებით – sms.tsu.ge) და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა.
2. საგამოცდო ცენტრი/ფაკულტეტი განცხადების/საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს:
   ა) სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობას;
   ბ) ფაკულტეტის უფლებამოსილ თანამშრომელთან იმ სტუდენტთა დაშიფრული ნაშრომების გადაგზავნას, რომელებიც არ ეთანხმებიან გამოცდაზე მიღებულ შეფასებას და მოითხოვენ შედეგების გადასინჯვას.
3. ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია ერთი სამუშაო დღის განმავლობაში გასასწორებლად გადასცეს ისინი სააპელაციო კომისიას/ლექტორს, რომელიც თავის მხრივ 2 სამუშო დღის ვადაში უზრუნველყოფს აპელაციის დასკვნის მიწოდებას ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომლისათვის.
4. ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომლი ერთ სამუშაო დღეში ნაშრომის ასლს უბრუნებს საგამოცდო ცენტრს.
5. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება საგამოცდო ცენტრს, რომელიც შედეგს აფიქსირებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

მუხლი 7. სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეფასებების აღრიცხვა

1. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამის ფაკულტეტზე ჩატარებული გამოცდების შეფასებების აღრიცხვას სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

2. ფაკულტეტი ვალდებულია, დასკვნითი საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა დაასრულოს შუალედური შეფასებების შეტანა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში, რომელიც აღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე დაიხურება.
3. იმ შემთხვევაში, თუ დათქმულ ვადაში სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არ იქნა შეტანილი შუალედური შეფასებები, პედაგოგი ან/და ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, ფაკულტეტის დეკანის/სკოლის დირექტორის შუამდგომლობით წარმოადგენს ახსნა-განმარტებით ბარათს საგამოცდო ცენტრში, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სისტემაში მაქსიმუმ ერთ სამუშაო დღის ვადაში.
4. თუ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შუალედური შეფასებების აღრიცხვის დროს დაშვებულია შეცდომა, პედაგოგი ან/და ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი ვალდებულია, ფაკულტეტის დეკანის/სკოლის დირექტორის შუამდგომლობით, ახსნა-განმარტებითი ბარათით მიმართოს საგამოცდო ცენტრს, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები სისტემაში და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება დასკვნითი გამოცდის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.
5. საგამოცდო ცენტრს არ აქვს უფლება დასკვნითი გამოცდის შეფასებები გამოაქვეყნოს მანამ, სანამ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არ იქნება დაფიქსირებული საგნის შუალედური შეფასებები, ხოლო კომბინირებული გამოცდის შემხთვევაში გამოცდის ზეპირი კომპონენტის ნიშნები.
6. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდებისა და აპელაციების პროცესის დასრულების შემდეგ სასწავლო პროცესის მართვის სისტემიდან ამობეჭდილი უწყისები (საგამოცდო ცენტრი პასუხისმგებელია, მხოლოდ მის მიერ ჩატარებული შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების შეფასებებზე) საგამოცდო ცენტრის უფროსის /ან ცენტრის მოადგილის ხელმოწერით, მიაწოდოს შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ პირს (მათი მოთხოვნის საფუძველზე).

მუხლი 8. კომბინირებული გამოცდა

1. საგნებში, რომლის გამოცდა შედგება წერითი და ზეპირი კომპონენტისაგან, გამოცდის ზეპირი კომპონენტის ჩატარებას უზრუნველყოფს ფაკულტეტი. ზეპირი კომპონენტის უწყისის ასლი ეგზავნება საგამოცდო ცენტრს.
2. ზეპირი კომპონენტის შეფასების წილი არ შეიძლება აღემატებოდეს გამოცდის ორივე კომპონენტის შეფასებათა ჯამის ნახევარზე მეტს.

მუხლი 9. გამოცდის მსვლელობა

1. დასკნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი, ხოლო შუალედური გამოცდის არაუმეტეს 2 საათისა.
2. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები, სამუშაო პირობები, განისაზღვრება ცენტრის დებულებით, ცენტრის უფროსის სამსახურებრივი დავალებებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით და დამკვირვებელთან დადებული ხელშეკრულებით;
3. გამოცდების მსვლელობას, საგამოცდო ცენტრის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ზედამხედველობას უწევს დამკვირვებელთა ჯგუფი, ჯგუფში შემავალი პირები ინიშნებიან წინასწარ ადმინისტრაციის ხემძღვანელის ბრძანებით და მოქმედებს წინამდებარე ინსტრუქციის დანართი №1-ში განსაზღვრული წესის შესაბამისად.
4. დამკვირვებელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის თანამშრომელი, დოქტორანტურის სტუდენტი ან ხელშეკრულებით მოწვეული პირი.
5. დამკვირვებელი ექვემდებარება საგამოცდო ცენტრს და ანგარიშვალდებულია საგამოცდო ცენტრის უფროსის წინაშე.

6. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტი ვალდებულია, იმოქმედოს წინამდებარე წესის დანართ №2-ში განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 10. გამოცდების შედეგების გადამოწმება

1. დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის დასრულების შემდეგ, გამოცდების შედეგების გადამოწმების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და საგამოცდო ცენტრის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით შესაძლებელია შეიქმნას კომისია;
2. ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ–პროფესორი, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას საგამოცდო ნაშრომის გასწორებასა და მის აპელაციაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
3. ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრობა არ არის დამატებით ანაზღაურებადი საქმიანობა– უფლებამოსილება ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში;
4. ამ მიზნით შექმნილი კომისია შეისწავლის საგამოცდო ნაშრომს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს საგამოცდო ცენტრს.
5. ამ მიზნით შექმნილი კომისია ექვემდებარება რექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 11. საგამოცდო ბილეთების გადამოწმება

1. დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო ცენტრი ვალდებულია პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთები/საკითხები შემდგომი რეაგირებისათვის გადასცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (შემდგომში – ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური”).
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ ვალდებულია დაადგინოს წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთების/საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსის სილაბუსთან.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს დასკვნას რექტორს და საჭიროების შემთხვევაში იღებს შესაბამის ზომებს.

მუხლი 12. გარდამავალი დებულება

1. წინამდებარე ინსტრუქციის მე–2 მუხლის მე–4 პუნქტი ამოქმედდეს ფაკულტეტების მიერ გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შემდეგ / ჩატარების წესში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ.